

მემორანდუმი

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი

“6” ოქტომბერი, 2015 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „თბილისის მერია“), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დავით ნარმანიას სახით, ხოლო მეორე მხრივ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ (შემდგომში „სააგენტო“), წარმოდგენილი სააგენტოს თავმჯდომარის - ლევან რაზმაძის სახით, გამოსატყვევ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და აფორმებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

I. მერია

1. მონაწილეობას მიიღებს ორივე მხარისათვის აქტუალურ საკითხებზე, ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ფორუმების ორგანიზებაში. ასევე, სახელმწიფო შესყიდვების თემაზე ტრენინგების ორგანიზებასა და სხვა სასწავლო ხასიათის (მათ შორის, საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო), განვითარებაზე მიმართული პროექტების განხორციელებაში.

2. თბილისის მერიის წარმომადგენლები, თბილისის მერიის მიერ მოწვეული ექსპერტები, ტრენინგ-ექსპერტები და დარგის სპეციალისტები ჩაერთვებიან ერთობლივ ღონისძიებებსა და აქტივობებში. მათ შორის, გამართავენ მიზნობრივ შეხვედრებს, გამოცდილების გაზიარების მიზნით.

3. ხელს შეუწყობს სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზებას, როგორც ერთობლივი პროექტების განხორციელების, ისე საზოგადოებრივი აქტივობების გზით.

4. ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, თანამშრომლობის ყველა ეტაპზე, უზრუნველყოფს თბილისის მერიის ჩართულობას, მისი რესურსებისა და სერვისების მიმართვას ერთობლივი პროექტების მაღალ დონეზე განხორციელების უზრუნველსაყოფად.

5. მემორანდუმის ფარგლებში, განხორციელდება სხვა ღონისძიებებს, ურთიერთთანამშრომლობის მიზნების მისაღწევად.

II. სააგენტო

1. მონაწილეობას მიიღებს, ორივე მხარისათვის აქტუალურ საკითხებზე ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ფორუმების ორგანიზებაში. ასევე, სახელმწიფო შესყიდვების თემაზე ტრენინგების ორგანიზებასა და სხვა სასწავლო ხასიათის (მათ შორის, საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო) განვითარებისკენ მიმართული პროექტების განხორციელებაში.

2. ხელს შეუწყობს თბილისის მერიას, მიზნობრივ საჭიროებათა კვლევის პროცესში.

3. მერიასთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების თემაზე სასწავლო კურსების, სასწავლო პროგრამებისა და პროექტების, არსებული მოთხოვნების შესაბამისად, შემუშავებასა და განხორციელებას.

4. უზრუნველყოფს სხვადასხვა მიმართულებით სასერტიფიკატო და ტრენინგ-პროგრამების ორგანიზებისა და განხორციელების პროცესებში სააგენტოს ექსპერტების ჩართულობას.

5. ხელს შეუწყობს, თბილისის მერიის საქმიანობის პოპულარიზებას, როგორც ერთობლივი პროექტების განხორციელების, ისე საზოგადოებრივი აქტივობების გზით; ასევე, ხელს შეუწყობს პარტნიორ ორგანიზაციებთან, მერიის საქმიანობასა და სერვისებთან, მერიის მიერ განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით, საპრეზენტაციო შეხვედრების ორგანიზებას.

6. უზრუნველყოფს, სააგენტოს სასწავლო ცენტრის ჩართულობას თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ პროექტებსა და ღონისძიებებში.

7. მემორანდუმის ფარგლებში, განხორციელდება სხვა ღონისძიებებს თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად.

III. მოქმედების ვადა და გაუქმება

1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია, რომელიმე მხარის მოთხოვნით, მის გაუქმებამდე.

2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ამ მემორანდუმის ყოველგვარი მიზნის გარეშე გაუქმება მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების მიწოდების საფუძველზე და კონკრეტული მიზეზით გაუქმება მეორე მხარისათვის 14 (თოთხმეტი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდების საფუძველზე.

3. მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეებმა (მათი შესაძლებლობების ფარგლებში) უნდა განახორციელონ ყველა შესაბამისი და აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაწყებული პროექტების დასასრულებლად.

IV. დანატებითი დებულებები

1. ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა და თანხმობა, რომელიც მოთხოვნილია ან ნებადართულია გაიცეს ამ მემორანდუმის შესაბამისად, უნდა გაიცეს წერილობითი ფორმით და გაიგზავნოს შეკვეთილი ფოსტით, ელექტრონულ მისამართზე ან ფაქსით. მხარეთა მიერ წინამდებარე მემორანდუმში მითითებულ რეკვიზიტებზე.

2. მხარეები ადასტურებენ, რომ არ ყოფილა არანაირი პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებელი შეთავაზებული მხარისათვის, ამ მემორანდუმთან დაკავშირებით.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ დებულების ნებისმიერი დარღვევა მემორანდუმის არსებითი პირობების დარღვევაა.

4. მხარე, რომელსაც ფორსმაჟორული გარემოებების გამო, ხელი შეეწემა თავისი ვალდებულებების შესრულებაში, არ უნდა იქნას განხილული ამგვარი ვალდებულებების დამრღვევად. ხსენებულმა მხარემ ყველა ღონე უნდა იხმაროს ფორსმაჟორულ გარემოებათა შედეგების შესამსუბუქებლად. ამავე დროს, მხარეებმა ერთმანეთთან უნდა აწარმოონ საკონსულტაციო მოლაპარაკებები, ამ მემორანდუმის შემდგომი განხორციელების შესაძლებლობებზე.

V. მხარეთა რეკვიზიტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მისამართი: რიჩარდ ჰოლბრუკის #8, 0113 თბილისი

მისამართი: ქ. თბილისი, ქ. შარტავას 7

ტელ: +995 32 2 24 22 48

ტელ: (995) 32 272 22 22

ვებ-გვერდი: www.procurement.gov.ge

ვებ-გვერდი: www.tbilisi.gov.ge

ელ-ფოსტა: info@procurement.gov.ge

ელ-ფოსტა: mayer@TBILISI.gov.ge

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

სახელით:

სახელით:

ლევან რაჭვაძე

სააგენტოს თავმჯდომარე



დავით ნაჭვანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

